ხელშეკრულება №11/59-2016

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი 15 სექტემბერი 2016 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ,, და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის,, მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, CPV 39200000, 41100000

ერთის მხრივ №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია, მისი თავმჯდომარის ავთანდილ ოსეფაიშვილის სახით, შემდგომში "შემსყიდველი'' და მეორეს მხრივ შპს „აქვა გეო“ წარმოდგენილი მისი დიერქტორის ირაკლი უგლავას სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი'', ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს დანართი #1 განსაზღვრული საქონლის მიწოდებას, შემდგომში ,,საქონელი'', ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით. მიწოდებული დისპენსერი და ტარა რჩება მიმწოდებლის საკუთრებაში.

2. საქონლის ღირებულება და აღწერილობა

2.1.მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს 476,32 (ოთხას სამოცდათექვსმეტი და 32) ლარს.

2.2. შესყიდვის ობიექტის მოცულობა და ერთეულის ფასი: იხილეთ დანართი #1

3. საქონლისმიღება-ჩაბარება

3.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

4.2. საქონლის მიწოდება ხორციელდება: ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №31

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიღების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამოწარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ, არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულებისშ ესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლებამოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
10.3. შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ინვენტარი მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დანიშნულებით. დაიცვას ინვენტარის ექსპლოატაციის პირობები, გაუფრთხილდეს და დაიცვას დაზიანებისაგან. მომხმარებლის, ან მესამე პირთა (განზრახვითი, ან გაუფრთხილებლობითი) ბრალეულობით გამოწვეულ დისპენსერების დაზიანების, მწყობრიდან გამოსვლის, ან მისი დაკარგვის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს თითოეულ დაზიანებულ დისპენსერზე **300 (სამასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით,** აღნიშნული დაზიანების/დანაკლისის დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
10.4. შემსყიდველი ვალდებულია ინვენტარის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული დანაკლისის შემთხვევაში გადაიხადოს თითოეული დაკარგულ/დაზიანებულ

ბოცაზე (ტარაზე) – 20 (ოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, აღნიშნული დაზიანება/დანაკლისების დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

10.5. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებულიდ ღისათვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არშეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობებისმ ოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახება გრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრივალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას განახორციელოს კონტროლი. კონტროლსა ხორციელებს გია ცაცაშვილი

12.2 კონტროლის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს:

- გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
- განახორციელოს კონტროლი მიწოდებული საქონლის ხარისხზე და დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს.
- მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.5. ხელმომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულებისშ ესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს . წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორემ ხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სშესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვაკომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

15.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად,რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

,,შემსყიდველი"	**,,მიმწოდებელი"**
№59 ქუთაისის საოლქო	**შპს „აქვა გეო"**
საარჩევნოკომისია	
ქ. ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.№ 31	მცხეთის რაიონი, სოფ.მისაქციელი
საიდენტიფიკაციოკოდი: 203851509	საიდენტიფიკაციოკოდი:204564113
ტელ: 577 511 166	ტელ.2470412
ა/ა GE03LB0125141330135034	ა/ა GE96BG0000000621671500
ბანკის კოდი LBRTGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ავთანდილ ოსეფაიშვილი	**ირაკლი უგლავა**
კომისიის თავმჯდომარე	**დირექტორი**

დანართი 1

№	SPV კოდი	საქონლის დასახელება	ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1	39222120	ერთჯერადი ჭიქა	ცალი	3000	0,02	60,00
2	41110000	19 ლ ბალონი წყალი სნო	ცალი	25	10,00	250,00
3	41110000	წყალი სნო პეტი(0,5 ლ)	ცალი	504	0,33	166,32
		ჯამი				476,32

„მიმწოდებელი"

„მიმწოდებელი"

№59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია
მიღება – ჩაბარების აქტი

ქ. ქუთაისი

15,09,2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, "შემსყიდველი", კომისიის თავმჯდომარის ავთანდილ ოსეფაიშვილის სახით, მეორეს მხრივ "მიმწოდებელი"

შპს "აქვა გეო"

(დაწესებულების დასახელება)

დირექტორი ირაკლი უგულავა

(ხელმძღვანელის დასახელება)

ვადგენთ ამ აქტს მასზედ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 15 სექტემბრის №11/59-2016 ხელშეკრულების ფარგლებში "მიმწოდებელმა" მოგვაწოდა 476,32 (ოთხას სამოცდათექსმეტი და 32) ლარის ღირებულების "საქონელი".

სახელშეკრულებო თანხა შეადგენს	476,32 (ოთხას სამოცდათექსმეტი და 32) ლარი (თანხა ციფრით და სიტყვიერად)
საქონლის ღირებულება შეადგენს	476,32 (ოთხას სამოცდათექსმეტი და 32) ლარი (თანხა ციფრით და სიტყვიერად)
ნაზარდი ჯამით შესრულებული	476,32 (ოთხას სამოცდათექსმეტი და 32) ლარი (თანხა ციფრით და სიტყვიერად)
ანაზღაურებულია	0 (თანხა ციფრით და სიტყვიერად)

№59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: ავთანდილ ოსეფაიშვილი

შპს "აქვა გეო" -ს დირექტორი: ირაკლი უგლავა

1	სასაქონლო ზედნადები №	ელ- 0261749751

2	15/09/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	13:06:14

დრო (საათი, წუთი)

4	შპს "აქვა გეო"	204564113
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება, ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	203851509
	მყიდველის (მიმღების) დასახელება, ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

6	ოპერაციის მიზანი	ტრანსპორტირებით

მიწოდების სახე

7	ქუთაისი წერეთლის 186

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ქუთაისი ჭავჭავაძის 31(ქუთაისის 59 საოლქო საარევნო კომისია)

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	VEV226

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	60003010743

12	გამყიდველის (გამგზავნის) / მყიდველის (მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

რიგითი №	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
I	II	III	IV	V	VI	VII
1	წყალი სნო პეტი 0,5ლ (4*6)	48601025800	ც	504.00	0.3300	166.32

13	166.32, ას სამოცდაექვსი ლარი და 32 თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	ჭელიძე იოსები

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა

* დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 15-სექ-2016 13:06:00

1	სასაქონლო ზედნადები №	ელ- 0261749674

2	15/09/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	13:05:59

დრო (საათი, წუთი)

4	შპს "აქვა გეო"	204564113
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება, ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	203851509
	მყიდველის (მიმღების) დასახელება, ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

მიწოდების სახე

7	ქუთაისი წერეთლის 186

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ქუთაისი ჭავჭავაძის 31(ქუთაისის 59 საოლქო საარევნო კომისია)

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	VEV226	
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი	მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	60003010743

12	გამყიდველის (გამგზავნის) / მყიდველის (მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

რიგითი №	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
I	II	III	IV	V	VI	VII
1	19ლ. ბალონი წყალი ს6ო	48601025801	ც	25.00	10.0000	250.00
2	პლასტმასის ჭიქა 180გ	00000145875	ც	3 000.00	0.0200	60.00

13	310.00, სამას ათი ლარი და 00 თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	ქელიძე იოსები

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების		
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა

* დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 15-სექ-2016 13:06:00